საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3507-16

"22" 09 2016 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან მოქმედ
თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის
უწყებათაშორის კომისიას

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი
კომისიის სამდივნოს 2016 წლის 21 და 22 სექტემბრის
ელექტრონული წერილების პასუხად"

გაცნობებთ, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის 10^5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძირითადი მობილური სატელეფონო მომსახურება წარმოებს მომხმარებელსა და მომსახურების მიმწოდებელს შორის წერილობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო დამატებითი მომსახურების მიწოდების პირობები შეიძლება განისაზღვროს სხვა (ელექტრონული ან სხვა ტიპის ოფერტა) ფორმითაც. ამავე რეგლამენტის 10^5 მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის თანახმად, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს შესაძლებლობა მისცეს აირჩიოს, ხოლო შემდგომ, მომხმარებლის მოთხოვნით, ცვლილება შეიტანოს მომხმარებლის მიერ არჩეულ მომსახურების პაკეტში. ამასთან, მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია მომხმარებლის მოთხოვნის გარეშე, მაგრამ მომხმარებლისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პირობით, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების პაკეტში დაამატოს მომსახურების ის ახალი სახე, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის მომხმარებელს არ სთავაზობდა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ჰ^{18}$ ქვეპუნქტის შესაბამისად, მობილური სკომუნიკაციო მომსახურების ერთ-ერთი სახეა მოკლე ტექსტური შეტყობინება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მობილური მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორი ვალდებულია მომხმარებლთან დადოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების შესახებ წერილობითი ხელშეკრულება და ასეთის შემთხვევაში, მომხმარებელს მიაწოდოს მობილური საკომუნიკაციო მომსახურება, მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება. ამავე დროს, მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია მომხმარებლის მოთხოვნის გარეშე, მაგრამ მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პირობით, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების პაკეტში დაამატოს მომსახურების ის ახალი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

სახე, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მომხმარებელს არ სთავაზობდა.

ამასთან გაცნობებთ, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის - საქართველოს ზოგიერთი მინიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების მიერ მოსახლეობისთვის სხვადასხვა პროექტის წარმატებით დასრულების შესახებ ინფორმაციის მოკლე ტექსტური შეტყობინების სახითა და ელექტრონული ფოსტის სერვისის მეშვეობით გაგზავნის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც, განმცხადებლის შეფასებით, წარმოადგენს წინასაარჩევნოდ პარტიის ირიბ რეკლამას, ან შეიძლება აღქმული იქნას, როგორც მმართველი პარტიის სასარგებლოდ ამომრჩეველზე პირდაპირი გავლენის მცდელობა, შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას - შესწავლა და მასზე რეაგირება სცილდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომპეტენციას.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე